№ 56
მარტის 11, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 56
მარტის 11, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჰირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეტყობინება იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., ამის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ ამ შეცდომათ დაწვრილებით, რამდენი თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ., 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები პეტრეს მამრიკაშვილისა. კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარიდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაცვლად მიეცემა; თ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მიიტანება მუშტარმა, ღვინის კანტორა სახლშივე თვითონ მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. ლბრაუნსკისა, ტელეფ. № 595.
დუქ. № 2, თავ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დუქ. № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის ავეჯ. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომარაგებ. საზოგადოებისა, შაქვევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიებში. (25—6.—7)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კლიმის სისტემისა

## „იდეალ“

საერთაშორისო კონგრესზე ლიონში უმაღლესი საჩუქარი მიიღო. მკვიდრად გამოცდილი და ხმარებაც სულ უშიშრად შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი ამბრო ყიფიანი ტფილისში, ეკვატ ქუჩა, სახლი მაკაროვისა. ტელეფონი 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლში წყნეთ ქუჩაზე. (12—6.—7)

## სამარხი კასა

### მეორედ და უკანასკნელი კრება

ქართულ თეატრის დარბაზში, კვირას, მარტის 23 რიცხვს, დილის 11 საათზე, დანიშნულია **ტფილისის სამარხი კასის** წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და **დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის** წევრისა და **მათი ნაცვლებისა**. რადგანაც კრება მეორედ არის დანიშნული, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქმნება.

წევრად ჩაწერის მსურველთაც შეუძლიანთ მოსვლა კრებაზედ.

ხუთშაბათს, 13 მარტს, საღამოს 8 საათზედ სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა.

ამ კრებაზედ ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. ი. ზოღოზერსკი წაიკითხავს თავისს მოხსენებას სანჭარის გადასავლის შესახებ კავკასიის უმთავრესს ქედზედ და სოფ. ფსხუს თაობაზედ. არა-წევრთაც შეუძლიანთ კრებაზედ დასწრება. (3—1)

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 30 მარტს, დილის 11 საათზე, ფოთის ქალაქის მმართველობის სადგომში დანიშნულია წევრთა წლიური საზოგადო კრება:

1) განსახილველად და დასამტკიცებლად 1902 წლის ანგარიშისა.

2) დამტკიცება 1903 წლის მომავალი ხარჯთაღრიცხვისა.

3) ამორჩევა რჩევის ოთხის დეპუტატისა, მათ მაგიერ, რომელთაც სამსახურის ვადა შეუსრულდათ.

4) ამორჩევა სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის მათის კანდიდატისა.

საზოგადოების 36 §-ის ძალით, ვექილობა, კრებაზე მონაწილეობის მისაღებად, უნდა გასასინჯათ წარმოადგინონ მმართველობაში სამი დღით ადრე კრების დაწყებამდე. ესე იგი არა უგვიანეს 26 მარტისა. (3—6.—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—3-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედიკანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოეთი.**—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. ბედიკანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

**ა. ზ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიცკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუზეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისი

✦ პეტერბურგიდამ გვაცნობებენ, რომ გზათა სამინისტროს განუხილავს განკარგულება, რომლითაც ქირურგი ს. ვ. ვოინო სამსახურიდგან დათხოვნილი იყო და, როგორც უსაფუძვლო, გაუუქმებია. ვოინო სამსახურში დაუტოვებიათ და სამინისტროს პეტერბურგში მიუცია მისთვის ადგილი.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „სიმღერა“, აკაკისა, გამოცემული ს. მერკვილაძის-მიერ.

წიგნი შემკულია აკაკის სურათით. შიგ მოთავსებულია ორმოცამდე პატარა საუკეთესო ლექსი ჩვენის მხცოვანის პოეტისა. წიგნაკში სულ 94 გვერდია. ფასი წიგნისა 15 კაპ.

✦ ერთმა განათლებულმა ქართველმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან, გვიამბო, რომ დიდის ყურადღებით მიუღიათ იქ უმთავრესი აზრი „С.-Петерб. Вѣд.“-ში დაბეჭდილის წერილისა სამეგრელოს სკოლებში ქართულის ენის სწავლების საჭიროების შესახებ. პეტერბურგში სამართლიანად უცვნიათ ამ წერილის უმთავრესი აზრი, რასაც ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ თვით „Нов. Вр.“-ს მოყვანილი აქვს ამ წერილის ზოგიერთი ადგილი და ამბობს, რომ წერილის ავტორის აზრი სამართლიანიაო.

✦ 9 მარტს რკინის გზის გამგეობის დარბაზში იყო კრება რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოების წარმომადგენელთა. კრებამ განიხილა შემოსავალ-გასავალი 1903 წლისა. ხანგრძლივის ბაასის შემდეგ, კრებამ გარდასწყვიტა დაეკლოს წლიურ ხარჯს 13,000 მანეთი. საზოგადოების გამგეობა ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდა და ერთხმად დაანება თავი სამსახურს.

✦ მარტის 9, კვირა საღამოს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში მწუხრი ილოცა ყოვლად უსამღვდელოესმა დიმიტრი ალავერდელმა. მწუხრზე გალობდა ბ-ნ მონადირიშვილის მგალობელ ქალ-ვაჟთა გუნდი, რომელმაც, სხვა საგალობელთა შორის, ჩინებულად იგალობა ჩვენი ნიჭიერის კომპოზიტორის ანდრია ყარაშვილის ოთხ ხმად შეწყობილი „ჯვარსა შენსა თაყვანის ვჰსცემთ“ და „შენ ხარ ვენახი“. პირველი და მეორე ხმა ორთავ საგალობლისა შეუცვლელად არის დატოვებილი და ხმა-შეწყობილება, ანუ ჰარმონიზაცია იმდენად მდიდარი და საამური აქვთ, რომ უნებლიედ იპყრობენ ადამიანის ყურადღებას. ვისურვებთ, ბ-ნ ანდრია ყარაშვილის მეცადინეობა ქართულის გალობის გასაუმჯობესებლად ამით არ დაბოლოებულიყოს.

მწუხრის დასასრულ მამა სიმონ ჯაჯანიძემ მდაბიურად და მარჯვედ განუმარტა მრავლად შეკრებილ მლოცველებს „მეათე მცნების“ ძალი და მნიშვნელობა. ქართული ქადაგება და სასულიერო მჭევრმეტყველება რომ აღორძინდეს და ღვთის სიტყვას, საჯაროდ საქადაგებელს, მადლი და შნო დაჰყვეს, ყოვლის უწინარეს საჭიროა, ბეჯითად შეისწავლონ ქართული საღვთო წერილი, ქართული ღვთის მეტყველება, რომლის სიმდიდრეს მტერიც-კი დაამოწმებს, ქართველნი მქადაგებელნი ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი, გაბრიელ ქუთათელი და სხვანი, განსაკუთრებით ხერხი და ღონე სიტყვის განმარტებისა, რომელიც სჩვევია ანტონ ჭყონდიდელსა.

✦ დღეს, 11 მარტს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს ინჟ. მაევსკის მოხსენებას „საქმე რწყვისა დიდს მანძილზედ და რწყვა გადმოსახლებულთა ადგილებისა გლეხთა და მიწად-მფლობელთა“—Практика большого орошенія и орошеніе для переселенческихъ участковъ, крестьянъ и землевладѣльцевъ. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

✦ 8 მარტს, იქნებოდა ღამის $11^1/_2$ სათი, მადათოვის კუნძულზედ, კამოევის მამულში, სანოვიჩის ტანისამოსის მაღაზიას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც დიდის სისწრაფით გავრცელდა მეზობელთა მაღაზიებზედაც. ცეცხლის გაძლიერებას ხელს უწყობდა საშინელი ქარი; ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი კოვალიოვი, მარჯვეთ შეუდგა თავის მოვალეობას ასრულებას და ცეცხლი თითქმის ჩააქრეს დილის ხუთი საათამდე. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ რაზმის მოყაითმა მუშაობამ აკმარა გაძლიერებულ ცეცხლს 7 თვალი მაღაზიის განადგურება; რა მიზეზით გაჩნდა სანოვიჩის მაღაზიაში ცეცხლი, ჯერ გამოურკვეველია, სანოვიჩის მაღაზიაც და კამოევის სახლიც დაზღვეულია; საზოგადოდ მაღაზიების პატრონების ზარალი დიდია.

✦ პარასკევს, 7 მარტს, მიხეილის ქუჩაზედ, ივანოვის სახლში, რომანიშვილის სადგურიდგან, დილის 7 საათზედ, დაიკარგა ორი მამაკაცის პალტო, ერთი მანდილოსანისა და სხვა წვრილმანი ნივთები,—ღირებული სულ ცხრა თუმნამდის.

✦ მომავალ აპრილს ქალ. რომში დანიშნულია მეურნეთა საერთა-შორისო კონგრესი; კავკასიის საბაღოსნო-სამეურნეო საზოგადოებას თავის წარმომადგენლად კონგრესზედ დაუნიშნავს აგრონომი სპეშნევი.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მიმართა ქალაქის თავს და სთხოვა, მოხსენდეს ქალაქის საბჭოს, რომ ტფილისის პოლიციის შესანახად გადასდოს მომეტებული თანხა, რომ შეიძლებოდეს ბოქაულების სახლის ქირაც მიეცეთო. ქალაქის თავმა აუწყა პოლიცმეისტერს, ქალაქის გამგეობა შეუძლებლად სცნობს საბჭოში ამის მოხსენებას, რადგანაც ქალაქი ისეც შევიწროებულია უფულობისა გამოვო.

✦ ოთხშაბათს დანიშნულია ქალაქის გამგეობის კრება, რომელსაც უნდა დაესწრნენ ბ-ნნი ბაბოვი და ყარამურზა, კრება განიხილავს დიდუბეში ქვაფენილისა და ქუჩების მოწესრიგების საქმეს.

✦ პარასკევს, 14 მარტს, ქალაქის გამგეობა განიხილავს ამ წლის ხარჯთაღრიცხვას.

✦ პარასკევს, 14 მარტს, დანიშნულია შეერთებული კრება გამგეობისა და ეტლებზედ ნიხრის დამწესებელ კომისიის წევრებისა; კრებამ უნდა განიხილოს ამ ჟამად ეტლებზედ არსებული ნიხრი.

✦ შაბათს მოჰხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობის საჰიდრავლიკო სადგურის კომისსიისა, ხმოსან ტეხნიკოსებისა და უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნ რიდზუნსკის მონაწილეობით; კრებამ განიხილა ინჟინერ კირაკოზოვის მიერ შედგენილი საჰიდრავლიკო სადგურის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა, კრებამ გარდასწყვიტა საბოლოოდ სჯა ამ პროექტზედ იქონიოს სამშაბათს.

✦ ბ-ნ ეფიანჯიანცის თავმჯდომარეობით მოხდა მცირე კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის გეგმისა და ქალაქის ქონების სიის შედგენის საქმე; კომისიამ საჭიროდ სცნო გეგმის შედგენა და დაადგინა შეუდგეს მუშაობას და მუშაობის დროს იხელმძღვანელოს 1898 წელს გამოსულ ინსტრუქციის წესებით. რაც შეეხება ქონების სიის შედგენას, კომისიამ ითხოვა გამგეობისაგან ამ საქმისათვის საჭირო თანხა და დაევალოს ბ-ნ ეფინჯიანცს, წარმოადგინოს ამ საგანზედ თავისი მოსაზრება; ამის შესახებ კომისია შეუდგეს ქონების სიის შედგენასაო.

✦ „Рус. Вѣд.“-ში სწერია: საუფლისწულო მამულების უწყებამ დაჰბეჭდა ანგარიში სეტყვის ამცდენ ზარბაზნების მოქმედებისა მის მამულებში 1902 წელს. სულ უწყებას 32 სადგური ჰქონია: მათ შორის ნახევარს ჰქონია რუსულ სისტემის ზარბაზნები, ხოლო ნახევარს სამზღვარ-გარეთისა—„იდეალისა“ და გრეინიცისა. ზარბაზნებს ნამდვილად აუცდენიათ სეტყვა ვენახებისათვის. საანგარიშო წელს ერთი დესეტინაც არ ყოფილა დასეტყვილი. საუფლისწულო უწყების ორს მამულში ნაფარეულსა და მუკუზანს 35-ჯერ დაუწყვიათ სროლა ამ ზარბაზნებითა და სულ გაუსროლიათ 7,375-ჯერ.

◆ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, ტფილისის მოხელეთა განიზრახეს შეადგინონ მოხელეთა არტელები; ამ საქმის განსახორციელებლად მათ გააკეთეს ფურცელი, რომელზედაც ხელი უნდა მოეწერა ყველა იმას, ვინც არტელში შესვლას მოისურვებდა; მათ უკვე გამოიწერეს ოდესისა, როსტოვისა და სხვა ქალაქების არტელების წესდებები; კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა შაემუშავებინა ტფილისის მოხელეთა არტელებისათვის წესდება, ამ ცოტა ხანში დაამთავრებს თავის საქმეს და წარედგინება ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლათ; ამასთანავე აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი არა სასურველი მოვლენა; საქმის მოთავენი თურმე როცა ადგენდნენ არტელში მონაწილეობის მსურველთა სიას, მათ დიდი დაბრკოლება აღმოუჩინა ზოგიერთა პირების მოძლვრებამ, რომელნიც ამხანაგთა შორის ავრცელებდნენ თურმე, სხვა-და-სხვა არა სასიამოვნო ამბებს: შეგიტყუებენ საქმეში და ვალსაც წამოგადებენ და სხვა ამისთანა.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ უგან. კნეინას გრუზინსკისას განუზრახავს წმ. ნინოს სახელობის ეკკლესიის აგება პეტერბურგშიო. როგორც გვატყობინებენ, ამ ეკკლესიაში ქართველ მღვდელს დანიშნავენ და წირვა-ლოცვაც ქართულად იქმნება. ეკკლესიას ააგებენ ძველ ქართულ გემოვნებაზედ.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, გამოქვეყნებულია ბრძანება, გორის სამოსწავლო სემინარიასთან ორ-კლასიან სკოლის დაარსებისა და შტატების გადიდების შესახებ შავის ზღვის პირის გუბერნიის სამოსწავლო უწყებაში.

◆ გუშინ, 9 მარტს, ტფილისში უნდა მომხდარიყო სამარხ კასის საზოგადო კრება, მაგრამ არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ გადადებულ იქმნა 23 მარტისთვის.

—

**სამეურნეო საზოგადოების კრება საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ ამიერ კავკასიაში.**

(დასასრული)

სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარება ყველაზე უწინარეს დამოკიდებულია საზოგადო კულტურულ და ეკონომიურ პირობებზე და ეს პირობანი ამიერ კავკასიაში სუსტად არიან განვითარებულნი. სასოფლო მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს ორი პირობა: 1) მეურნეს საკმაო მიწა უნდა ჰქონდეს, ამ მიწის საკუთრებისა და მფლობელობის საფუძველნი გამორკვეული დ უდავო უნდა იყოს დ 2) იმდენი თავისუფალი თანხაც უნდა მოეპოვებოდეს, რომ მამულის გაუმჯობესობა შეეძლოს.

ჩვენში, სამწუხაროდ, ამ პირობებს სრულიადაც ვერა ვხედავთ. მიწის სიმცირე ცნობილი ფაქტია, მიწა გაუმიჯნელი და ათასგვარად დაქსაქსულია, მეურნეს ესა თუ ის მამული ერთს ფარგალში არა აქვს მოთავსებული. მეურნეობის განვითარებას, რასაკვირველია, ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ამიერ კავკასიაში ბლომად მოიპოვებიან დროებით ვალდებულნი გლეხნი, ხიზნები და დაღესტნის ოლქში ეგრედ წოდებულნი რაიატები. ამ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უარესია სახელმწიფო გლეხების მდგომარეობაზედ. ამიერ კავკასიის გლეხის წლიური შემოსავალი 40—45 მან. არ აღემატება, მაშინ როცა რუსის გლეხის შემოსავალი სულზე წლიურად 55 მანეთით განისაზღვრება. სახელმწიფო სხვა-და-სხვა გადასახადი თანასწორად არაა განაწილებული მკვიდრთა შორის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 90% საერობო გადასახადისა გლეხებზეა გაწერილი. მიწის გარდასახადი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. გლეხების ნატურალური ვალდებულებანი დიდ ტვირთად აწევს მკვიდრთ. ბაქოს გუბერნატორის გამოანგარიშებით, ეს უკანასკნელი ვალდებულებანი, ფულად რომ გავანაღდოთ, ბაქოს გუბერნიისათვის კომლზე 15 მანეთი მოვა. გლეხობა მეტად დავალიანებულია. უწიგნობა ხომ ყველასაგან ცნობილი ფაქტია. განათლების მხრით ამიერ კავკასია რუსეთს, ციმბირის გარდა, ბევრად უკან ჩამორჩა. საერობო გუბერნიებში 100 მკვიდრზე 4 მოსწავლემდე მოდის, ჩვენშიკი ამავე რიცხვზე 1,72 მოსწავლე.

ყველა ჩვენ მიერ დასახელებული გარამოებანი აფერხებენ ამივრ-კავკასიაში მეურნეობის განვითარებას საქმეს. რომ მეურნეობა პროგრესსის გზას დაადგეს, რეფერენტის აზრით, საჭიროა შემდეგი ზომანი: გლეხს საკმაო მიწა უნდა ჰქონდეს მიზომილი შესამუშავებლად; მიწები უნდა გაიმიჯნოს; დავა მიწების მფლობელობისა და საკუთრების შესახებ დროზედ გამოირკვეს; გლეხს გარდასახადი უნდა შეუმსუბუქდეს; ნატურალური გლეხის ვალდებულებანი ფულით უნდა იქმნას გამოანგარიშებული. ყოველივე გარდასახადი თანაბრივ უნდა განაწილდეს ყველა მკვიდრთა შორის. დროებით ვალდებულთა, ხიზნებისა და რაიატების ინსტიტუტი გაუქმდეს; კრედიტის საქმე სასურველად უნდა მოეწყოს; ამ ჟამად არსებულ უწიგნობას ბოლო უნდა მოეღოს; იურიდიული დახმარება უნდა აღმოუჩინოს მკვიდრთ. განათლების საქმე სკოლების გამრავლებით უნდა მოწესრიგდეს; კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივას ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს. ყველა ამ ზომათა ღირსეულად განხორციელება ადმინისტრაციისათვის, რომელიც აქამომდე ამ საქმეებს განაგებდა, შეუძლებელია. ადმინისტრაციას თავისი პირდაპირი მოვალეობანიც ბევრი აქვს. ორის სრულიად სხვა-და-სხვა თვისების მოვალეობათა აღსრულება ერთი და იმავე ორგანოსათვის საძნელოა, ან ერთის მოვალეობის აღსრულებას შეასუსტებს, ან მეორისას. მართალია, თუმცა ადმინისტრაცია აქამომდე ორივე მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ამ ჟამად ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ცხოვრება მეტად გართულდა, გამრავალ-ფეროვანდა და მაშასადამე სულ სხვა მოვლა პატრონობას საჭიროებს. ხალხის მრავალ-გვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლიან მხოლოდ ერობას, რომლის არსებითი თვისებანი სწორედ ზედ-გამოჭრილია ამ საქმისათვის. ადგილობრივ საჭიროებათა ცოდნა, თვით—დახმარების პრინციპის გაძლიერება, სხვა-და-სხვა წოდებათა შემოკრება და გაერთიანება, საჯაროდ განსჯა და განხილვა ამა თუ იმ საჭიროებისა—აი ნიშნობრივი თვისებანი ერობისა და სწორედ ერობის ამ ნიშნობრივ თვისებათა მეოხებით შესაძლოა მოწეს-რიგდეს ღირსეულად მკვიდრის აწინდელი მრავალგვარი მოთხოვნილებანი. სწორედ ეს თვისებანი დაედო საფუძვლად 1 იანვრის 1864 წლის საერობო დებულებას. საერობო დაწესებულებამ საზოგადოების იმედი სრულიად გაამართლა. 34 გუბერნიაში, საცა ერობაა შემოღებული, ხალხის განათლებაზე ხარჯვენ 17,5% თავის ბიუჯეტისას, საქქიმო ნაწილზე—27,6%. ამიერ კავკასიაში-კი სახალხო განათლებაზე იხარჯება 3%, საექიმო ნაწილზე—10% და 67,5% სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვაზე.

თუ-კი შიდა გუბერნიებში ერობამ ფეხი მოიკიდა, ასე დიდმნიშვნელოვან საქმედ გარდაიქცა, რა საფიქრებელია, რომ ამიერ კავკასიაშიაც ერობამ ვერ მოიპოვოს შესაფერი ნიადაგი და ისე დიდ მნიშვნელოვან საქმედ არ გარდაიქცეს. ერობის შემოღების საქმე ამიერ კავკასიაში უკვე მომწიფებულია, რადგან ამ უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში მკვიდრთა თვითცნობიერობამ შესამჩნევად იმატა, სახელმწიფო ენა საგრძნობლად გავრცელდა მკვიდრთა შორის, სპეციალისტებთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს. თუ კი ხელმწიფე იმპერატორმა ამ 40 წლის წინად შიდა რუსეთის გუბერნიების მკვიდრნი მოუმზადებლად არა სცნო ერობისათვის, აბა რა საფიქრებელია, რომ დღეს ჩვენს მოუმზადებლობაზე გაკაბათ სჯა ბაასი. ერობის საშუალებით სოფლის მკვიდრთა სხვა-და-სხვა წოდება ერთი მეორეს დაუახლოვდება და ამჟამად არსებული მათ შორის ანტაგონიზმი მოისპობა, მკვიდრი უფრო დაუკავშირდება რუსეთს. ერობა ინტელიგენტ ძალას შემოიკრებს სოფლად, საცა ამჟამად ინტელიგენციას ბინადრობა ვერ მოუხერხებია. სასოფლო მეურნეობა დ მრეწველობა ბიუროკრატიულ მოვლა-პატრონობას ვერ ჰგუობს, ვერ იტანს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ერობას შეუძლიან ამგვარი მოვლა-პატრონობა. მეურნესა და მეურნეობის მოთხოვნილებანი მატულობს, მაშინ როდესაც საერობო გადასახადის მომატება შეუძლებელია. გადასახადის სამართლიანად გაწერა, სტატისტიკისა და სტატისტიკურ გამოკვლევათა უქონლობის გამო, შეუძლებელია. ერობის შემოღების შემდეგ ეს საჭირო მხარე საქმისა რიგიანად მოწესრიგდება, ფინანსიური მხრითაც ერობის შემოღებას არა დააბრკოლებს-რა, რადგან ახალის გადასახადის გაწერა არ იქმნება საჭირო. კიდევაც რომ ეს გადასახადი გადიდდეს, ამის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ეს ახალი გადასახადი თანაბრივად განაწილდება მკვიდრთა შორის და ფართოდ დააკმაყოფილებს ამავე მკვიდრთა მოთხოვნილებას. ერობის შემოღების საჭიროება კარგადა აქვს საზოგადოებას შეგნებული და ამიტომაც თითქმის ყველა დაწესებულებანი თავის მოვალეობად სთვლიდენ, ეშუამდგომლად მთავრობის წინაშე ერობის შემოღების შესახებ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ, საექიმო საზოგადოებამ და კიდევ სხვა მრავალ საზოგადოებამ იშუამდგომლა მთავრობის წინაშე ამ ფრიად საჭირო დაწესებულების შემოღების შესახებ.

დღეს ამ შესანიშნავ ისტორიულ მომენტის დროს, როცა თვით მთავრობა გვეკითხება, რა არის თქვენთვის უფრო საჭირო, რომ სასოფლო მეურნეობა განვითარდეს, მკვიდრთა ეკონომიური ძალები აღორძინდეს, ჩვენი იურიდიული და მოქალაქობრივი მოვალეობაა, გულახდით ვამცნოთ მთავრობას ჩვენი გაჭირვების ამბავი, ვამცნოთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიაც ერობის შემოღება. ამიერ კავკასიის დასავლეთ ნაწილში საჭიროა შემოღებულ იქმნას ერობა 1890 წლის დებულების სახით, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში 1864 წლის დებულების სახით. ერობის შემოღება გამოიწვევს ჩვენს მხარეში საუკეთესო მშრომელთ სამოღვაწეოდ, ერობა გააცხოველმყოფელებს ამ ჟამად დაცემულს სასოფლო მეურნეობას და მრეწველობას და ადგილობრივ ერის ეკონომიურ მდგომარეობას დააყენებს პროგრესსის გზაზე ჩვენის ქვეყნისა და სახელმწიფოს საბედნიეროდ და სასარგებლოდ. ამის მოსაზრების სრულ თავდებად ჩვენ ჭეშმარიტად მიგვაჩნია ხელმწიფე იმპერატორის დიდად მოწყალე სიტყვები, რომლითაც მათ უდიდებულესობამ მიმართა კურსკში 30 აგვისტოს 1902 წელს ერობის წარმომადგენელთ: „გმადლობთ დახვედრისათვის. ვსარგებლობ შემთხვევით გითხრათ რამდენიმე სიტყვა. საერობო მეურნეობა—უპირველეს ხარისხის საქმეა და მე იმედი მაქვს, რომ შესწირავთ მას ყველა თქვენს ძალ-ღონეს. მოხარული ვიქმნები აღმოგიჩინოთ ყოველგვარი ჩემი მზრუნველობა, ამასთანავე ვიზრუნო ადგილობრივ ყველა მკვიდრთა თავისუფალ გაერთიანებისათვის. გახსოვდეთ, თქვენი მოწოდებაა ადგილობრივი მოწყობილობა სამეურნეო საჭიროებათა დარგში. ამ მოწოდების წარმატების შესრულებით დაიმსახურებთ, დაჯერებულ იყავით, ჩემს გულითადს მოწყალებას“. სულ მცირე და უმნიშვნელო კამათის შემდეგ, მოხსენება ერთხმად მიღებულ იქმნა.

კრება ღამის 12 საათზე დამთავრდა.

—

**კავკასიის სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოების კრება.** 8 მარტს კრება იყო არტისტიულ საზოგადოების შენობაში კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოებისა. თავმჯდომარედ ამოირჩიეს ბ-ნი კოდჩევსკი. გასული წლის ანგარიშით, რომელიც წაკითხულ იქმნა კრებაზედ, საზოგადოებას ჰქონდა 235 წევრი, რომელთაც 802 მან. შეუტანიათ. გასულ წელს საზოგადოების თანხას შეადგენდა 6,830 მან. ბირჟაში გამართულ სეირნობისა და წარმოდგენისაგან 870 მ. 50 კ., შემოწირულებანი — 381 მ. 95 კ., საზოგადოების დამფუძნებელთაგან შეგროვილი 4,700 მ. ამ ფულიდგან 4,000 მან. ხელ-უხლებელ თანხად იქმნა გადადებული. დახარჯა—მთხოვნელ სტუდენტთა დასახმარებლად 2,521 მ., სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის —144 მან. 95 კ., ხელუხლებელ ფონდისათვის შეძენილი რენტა—3,998 მ. 98 კ. სულ დახარჯა 6,674 მან 94 კაპ. ფულად დარჩა 165 მ. 15 კ.

გამგეობის სიტყვებში საზოგადოებისადმი მოწოდება იყო გამოთქმული. დახმარების მთხოვნელება ძლიერად იზრდება, დახმარების საშუალებაკი მცირეა. ამიტომ, წევრნი შეერთებულის ძალდონით უნდა შეუდგნენ საჭირო საშუალებათა აღმოსაჩენად.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, კრებამ დაამტკიცა გამგეობის ანგარიში. ნება მიეცა კრებისაგან გამგეობას, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთაც აღმოუჩინოს დახმარება.

შემდეგ ცხარე კამათი გამოიწვია, პრინციპიალურ საკითხმა, შეუძლიან თუ არა გამგეობას თავის ნებით უარჰყოს რომელიმე შემოწირულება. როგორც ვიცით, ბ. ალექს-მესხიშვილმა შესწირა საზოგადოებას რუსულად თარგმნილი ი. ჭავჭავაძის „სომეხთა მეცნიერნი დ ჩვეთა დაღადი“-ს თითო ცალზედ 5 კაპ.

გამგეობამ, ერთი თავისი წევრის მოხსენებით, უარჰყო ეს შემოწირულება, რადგან იგი საკამათო შინაარსისაა და სომეხ-ქართველთა შორის ნაციონალურ განხეთქილებას აღწვავებსო.

საზოგადოების ერთმა წევრთაგანმა პროტესტი მიეტანა, გამგეობას უფლება არ ჰქონდა, თავის ნებით უარი ეთქვა შემოწირულებაზეო. ამიტომ საკამათო საგნად გახდა კრებაზე ეს უფლება. ზოგიერთი წევრი, ბ. ლავროვი, ხატისოვი, იოანესიანცი, გრუზენბერგი, დოლუხანოვი იმ აზრის იყვნენ, რომ გამგეობას საზოგადოებისაგან სრული უფლება უნდა ჰქონდეს, მიიღოს თუ არ მიიღოს რომელიმე შემოწირულება, სხვებიკი ბ-ნნი შევალიე, ჭეთია, დუმბაძე, ზურაბიშვილი, გუნცაძე, ღემილოვი და სხვ., იმ აზრის, ადგნენ, რომ შემოწირულების არ მიღების უფლება მხოლოდ საზოგადო კრებას უნდა ეკუთვნოდესო, რადგან შემოწირულება მთელი საზოგადოებისათვის არის დანიშნული, მისი შეძლების გასაძლიერებლად; საზოგადო კრება უფრო მრავალმხრივ და სამართლიანად განიხილავს ამისთანა შემთხვევას, რომელიც, სხვათა შორის, ერთობ ძვირად მოხდება ხოლმეო.

ბ-ნნი გაბაშვილი, ჯაბადარი და სხვა იმ აზრს ადგნენ, რომ საზოგადო კრებამ უთუოდ უნდა განიხილოს კერძო შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია საკამათო საგანი. პრინციპიალურად კითხვის დაყენება უაიმისოდ ძნელი იქნებაო.

როცა კამათი დასრულდა, თავმჯდომარემ დააყენა კითხვა: განიხილონ ეს საქმე პრინციპიალურად თუ იმ კერძო შემთხვევასთან ერთად. კრებამ გარდასწყვიტა, საკითხი მხოლოდ პრინციპიალურად გადაწყდესო. შემდეგ კრებამ გარდასწყვიტა

---

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

დაუსრულებელ რომანისა.

(შემდეგი *)

მთელი ის ღამე თეთრად გავათენე; ჩემს ცოლს-კი, ვგონებ, მოსვენებით ეძინა, რადგანაც ხშირად მესმოდა იმისი მშვიდი სუნთქვა. მოუთმენლად ველოდი განთიადის პირველი სხივების გამოჩენას, რადგანაც ვიმედოვნებდი, რომ ჩვეული მუშაობა ჩემს ქერქში ჩამაგდებდა და სულის სიმშვიდეს დამიბრუნებდა. ფანჯრის დარაბის ჭვრიტიმალებში მკრთალის სინათლის ზოლი გავარჩიე.—აი, ეს არის ჩემი ხსნა-მეთქი,—ვიფიქრე გახარებულმა, ზეზე წამოვხტი აჩქარებით და თანაც სიფრთხილით, რომ ცოლი არ გამომეღვიძებინა ტანთ ჩაცმა დავიწყე; ხოლო იმაზედ ფიქრი მაინც არ მშორდებოდი. იმისი მშვენიერი, მაცდური სახე ცოცხლად მედგა თვალ-წინ თავისის მომხიბლველის ღიმილით...

— სისულელეა!—ვანუგეშებდი ჩემს თავს,— მივუჯდე ერთი მაგიდას და დავიწყო მუშაობა!..—წყნარად გაველი სამუშაო ოთახში, ლამპარს მოვუკიდე და მივუჯექ საწერ მაგიდას. ის-ის იყო გათენდა. ქუჩაში ხალხის სუსტი მოძრაობა იწყებოდა. თუმცა-ღა საძაგელ გუნებაზე ვიყავ, მაგრამ მაინც ხელში კალამი ავიღე, რომ დაწყებული შრომა გამეგრძო. მაგრამ, თუმცა მეტად ძალას ვატანდი ჩემს შემოქმედებითს ნიჭს და გონებას, ერთის სტრიქონის დაწერაც ვერ შევძელ; შემდეგ ვიფიქრე, იქნება კითხვაში გავერთო-მეთქი და წიგნი გადავშალე, მაგრამ ორ წამსაც არ გაუვლია, რომ ისევ დავკეცე: ჩემ წინ ისევ ის მაცდური სახე იდგა და მე მეგონა, რომ იმ წამს ჩემი გული, გონება, აზრი, ყოველი ატომი ჩემის არსებისა მთლად დაეპყრო მას, გაემსჭვალა, სავსებით გაევსო ..—ეს მდგომარეობა აუტანელია!—ვიფიქრე ბოლოს... რაზედ ვატან ძალას ჩემს ბუნებას, რათ ვიწვალებ თავს? რა იქნება, რომ ვნახო ის, ვინც არის მიზეზი ჩემის სულიერის ბრძოლა-ვაებისა და პირის-პირ მოველაპარაკო, ავუხსნა ყოველივე, რაც ჩემს თავს ამბავია!.. მერე და მარო?..—გამიელვა ისევ მეორე აზრმა ფიქრად,—რას იტყვის, როგორ მიიღებს ამ ამბავს, როგორ აიტანს იმისი ნაზი მოყვარული გული ამ სიყალბეს, ღალატს, წმინდა გრძნობის შელახვას?..

— გეტყობა მუშაობის გუნებაზე ვერა ხარ დღეს, ალექსი!—ცუდად ხომ არა ჰგრძნობ თავს, გენაცვალე?—მომესმა მოულოდნელად გაღებულ კარებიდან მაროს ალერსიანი და მზრუნველობით სავსე ხმა.

— როგორ, გაიღვიძე კიდეც?—პასუხის მაგიერ შევსძახე განცვიფრებულის და თან უკმაყოფილო კილოთი; იმ წამს ეჭვმა გამიარა გულში, რომ მარო მზვერავდა, თვალს მადევნებდა, რათა გამოეცნო ჩემის გულის საიდუმლო. თითქო მიმიხვდა დაფარულ აზრსა და მომიგო;

— ოჰ, ნეტავი ავად არ გახდებოდე და სხვას არას დავეძებ!.. ყოველთვის მუშაობდი ხოლმე ამ დროს...

— ოჰ, ნეტავი ერთი, საქმე გამოგლევეია!— ვუპასუხე და საათს დავხედე. რვა საათი იყო. ბავშვების წყნარი თავდაჭერილი ტიტინი ბუნდათ მესმოდა სასადილო ოთახიდან.—ჩაისა სმენ—ვიფიქრე და უნებურად თვალწინ დამიდგა მოღრუბლული სახე, ამალია კარლოვნასი, რომელიც დინჯად სამოვართან ზის და უფროს, მკვირცხლის ვაჟის ყოველ უხერხულ მოძრაობაზე განჩხლებით იძახის: „O, du garstiger knabe!“ პირი დავიბანე და გაველი მათთან.

— but morgen, eieber valter!—დანახვისათანავე ერთხმათ მომაძახეს ჩემმა ბღარტებმა და მხიარულად, გაღიმებულის სახით გამომიწოდეს პაწაწა ხელები, რომელიც უგულოდ ჩამოვართვი ისე, რომ არც-კი შემიხედნია იმათთვის რიგიანად. უფროსმა, ხუთის წლის ვაჟმა თავისი ჭკვიანი ცისფერი თვალები განცვიფრებით მომაშტერა და კარგა ხანს მიცქერდა აგრე, თითქო უნდოდა წაეკითხა ჩემს სახეზედ მიზეზი ამ უჩვეულო საქციელისა. „რა მოუვიდა ნეტავი დღეს მამას: არც გვაკოცა, არც დაგვიყვავა?“—უეჭველია ფიქრობდა ამ დროს გულ-დათუთქული და, იმის მაგიერ რომ გამესწორებინა ჩემი საქციელი, ალერსით მოვპყრობოდი და დამეწყნარებინა მისი პაწაწა შეურაცხყოფილი გული, მკვახედ, ხმა-მაღლა ვუთხარი:

— ვერ მიცანი თუ? როგორ მიყურებ! უმჯობესია ეგ ჩაი დალიო.

საბრალო უდანაშაულო არჩილმა თავი ჩაღუნა და ჩაის სმა განაგრძო. ბავშვებმა ხმა გაკმინდეს ისე, როგორც ჩიტები სწყვეტავენ ხოლმე მხიარულ ჭიკჭიკს მოსალოდნელ ქარიშხლის წინ. საკვირველი ის იყო, რომ ეს დუმილიც მაჯავრებდა, მოთმინებიდან გამოვყავდი, რადგანაც ყოვლად უსაფუძვლოდ და ყოველისავე ლოღიკის წინააღმდეგ ჩემის გრძნობების შეურაცხყოფად მეჩვენებოდა; ამასთანავე თითქო ამალია კარლოვნასაც იმ წამს ჩვეულებრივზე უფრო დაძმარებული სახე ჰქონდა.

— რომელი საათია?—მივუბრუნდი მას და, თითქო შესადარებლად, მეც საათი ამოვიღე.

— ცხრას თხუთმეტი აკლია.

— ჩემსაშიაც ასეა; წასვლის დრო ყოფილა,—ვსთქვი და ავდექი, რომ მეორე ოთახში გავსულიყავ; კარებში მაროს შევეფეთე, რომელიც საუცხოვო სანახავი იყო თეთრ სადილაო კაბითა.

— მიდიხარ კიდეც?—მკითხა მან და თავის კეთილის თვალებით ნაღვლიანად სახეზედ დამაცქერდა.

— ისე მკითხავ, თითქო არ იცოდე, რომ ამ დროს ყოველთვის სამსახურში მივდივარ ხოლმე,—მივუგე მკვახედ.

მარომ, თითქო არ შეუმჩნევია ჩემის პასუხის კილოვო, ნაზის მზრუნველობით განაგრძო:

— როგორღაც დაღლილი სახე გაქვს, ალექსი, ფერიც ცუდი გაძევს...

ამ სიტყვებზე სრულებით უადგილოდ და ახირებულად გამეცინა. მაროს არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება, წინა ოთახამდის გამაცილა და გაჩერდა ნახევრად გაღებულ კარებში; შემდეგ, როცა პალტო ჩავიცვი, შუბლზედ მაკოცა და მშვიდის ალერსიანის ხმით მითხრა:

— ნახვამდის! მაშ, პირდაპირ სამსახურში?

—მე მოუთმენელად თავი დავუქნიე და გარედ გამოველ.

* * *

ქალაქში სიცოცხლე თან-და-თან იღვიძებდა და ძლიერდებოდა. ეტლების გრიალი, ცხენის ვაგონების ზარის წკარუნი, ცხენების თქარა-თქური, ბაყალთა შეუპოვარი ყვირილი და ათასი სხვა ხმა ერთმანერთში ირეოდა და ერთ დაუწყნარებელ გუგუნათ იდგა ჰაერში.

ხალხის მოძრაობა თან-და-თან მატულობდა. საუცხოვო გაზაფხულის დილა იყო. ყველას როგორღაც მხიარული, ნათელი სახის მეტყველება ჰქონდა. უეჭველია, ყველამ იცოდა, რისთვისაც გამოსულიყო ამ დილით ქუჩაში და საითკენ მიეშურებოდა. ფლანიორისთვის რომ გეკითხათ, ისიც-კი გეტყოდათ: „სასეირნოდ გახლავარ სახლიდგან გამოსულიო“. მხოლოდ ერთი მე ვერიე ამოდენა ხალხში, რომელმაც არ ვიცოდი, რა მექნა, საით წავსულიყავ, რა გარდამეწყვიტა. წარმოუდგენელი ხაოსი სუფევდა ჩემ სულსა და გულში; შეგნება მოვალეობისა და პატივისცემის გრძნობისა ცოლისა და ოჯახისადმი და მეორე მხრივ ეს სიკვდილივით ძლიერი გონების დამბნელებელი გულის თქმა გაცხარებით ებრძოდა ერთმანერთს, გზასა და კვალს მიბნევდა... ისე მივდიოდი, თითქო სქელ ბურუსშია გახვეულიო; გარეშე ბუნება იმ წამს ჩემთვის არ არსებობდა. გზაში ვიღაცას ძლიერ დავეჯახე; მან გაჯავრებულის სახით საშინლად შემომიბღვირა და უზრდელი მიწოდა.

— უკაცრავად-მეთქი,—მივაძახე და გულში გავიტარე:—ჩემი ამბავი რომ იცოდეს, პირიქით, ის მოითხოვდა ბოდიშსა-მეთქი...

აი, სასტუმროც, მთელს ქალაქში უპირველესი. სქელი, წვერ-მოპარსული მეკარე, ლურჯ ოქროს ბუზმენტებიან ლივრეიში გამოწყობილი, ნახევრად გაღებულ კარის სახელურს გულ-მოდგინედ სწმენდდა.—იქნება ის აქ იყოს?—გამიარა გულში.—ვსთქვათ აქ არის, მერე?—დამეკითხა მეორე შინაგანი ხმა—რა იქნებოდა „მერე“,—ამის თქმა მაშინ არ შემეძლო; არ შემეძლო და არც ვცდილობდი მომავლისათვის ფარდა ამეხადა; მე ვგრძნობდი მხოლოდ იმ წამს, რომ შეპყრობილი ვყავდი უძლეველ, დაუცხრომელ სურვილს, პირის-პირ შევყროდი, დამენახა ახლოს მისი მშვენიერი ნაკვთები, მომესმინა სანდო-

---

*) იხ. «ივერია» № 53.

51 ხმით—18 ხმის წინააღმდეგ, რომ შემოწირულების უარ ყოფის უფლება მხოლოდ საზოგადო კრებას უნდა ეკუთვნოდეს.

შემდეგ არჩევანი მოხდა, გამგეობაში ისევ ძველი წევრები დარჩნენ: დ. ი. შევალიე, ა. მ. ჭურნია, ს. მ. დავროვი, რ. ა. იოანესიანი, ი. ს. დუდაძე, მ. ი. გრუზენბერგი, მ. დ. ელჩუგოვი, ე. ს. თაყაიშვილი, ს. ი. ანანოვი; სარევიზიო კომისიაშიდაც ძველი წევრები: ა. ს. დუდაძე, ი. ი. ზურაბიშვილი, პ. ა. კუმსკოი, გ. ა. სუდხანიშვილი, გ. ი. თულაშვილი და ნ. ი. თამამშევი. ყველა ეს პირნი ერთ ხმად იყვნენ არჩეულნი.

## ჩვენებური ამბები

**სოფ. ერთაწმინდა** (გორის მაზრა). სოფელ ერთაწმინდელებს განუზრახავთ ორი-სამი ვერსის მანძილიდგან გამოიყვანონ წყარო; აუზი გაკეთდება სოფლის ორ უბანში; თუმცა ერთაწმინდელებმა, აგერ 20 წელიწადზედ მეტი იქნება, მას აქეთ, რაც წყარო ორ ალაგას გამოიყვანეს მილებით თითქმის ვერსნახევარ მანძილიდგან, მაგრამ გამკეთებელმა იმდენი სიყალბე ჩაიდინა, რომ მას შემდეგ წყლის მილის შეკეთებას კიდევ ბევრი ფული დაახარჯეს; ბევრმა ერთაწმინდის გლეხკაცობის გულკეთილობითაც ისარგებლეს და, რამდენიც შეიძლეს, სარგებლობდნენ მალვით თუ ცხადლივ. ასი კომლით მოსახლე სოფელმა რომ ექვსასი თუმნიდან რვაასამდე დახარჯოს წყაროს გამოსაყვანად, ძალიან გაბედვა უნდა ჰქონოდათ გლეხკაცობას და იმედიც უნდა გამართლებოდათ; მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ესე არ მოხდა; ეხლა მაინც სასურველია, ამ საქმეს პატრონსანი და გლეხკაცების გულშემატკივარი ვინმე იკისრებდეს და და შემდეგშიაც თავის ნდობით გლეხკაცებს კიდევ რამეს გააბედვინებდეს. როგორც გავიგეთ სოფლის მოთავეებს უკვე გაუწერიათ კომლობრივ საჭირო ხარჯი; ვინც ფულს ვერ გადიხდის, მისთვის მუშა შეუწერიათ, ტყის პატრონისთვის საჭირო ხე-ტყე; როგორც თვით გლეხკაცებმა გადმოგვცეს, თავ. თარხნიშვილებს აღუთქვამთ დიდი შემწეობა ხეტყით და სხვა დახმარებით; თარხნიშვილების აღთქმას მათზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და არც გლეხკაცობა მალავს მათდამი დიდს მადლობას; გლეხკაცობას განუზრახავს მიმართოს თავ. პეტრე გრუზინსკის, რომ მან მიიღოს საქმის მოთავეობა; ვუსურვებთ ეს საქმე კეთილად დამთავრებულიყოს.

**ზემო რაჭა.** ძნელი საქმე გვიყო თებერვლის დიდმა თოვლმა. დაბა ონში ერთი მანეთის სიღირალი ორ მანეთად შეიქნა, უგზოობის გამო. პური და სიმინდი საყიდლად ვეღარ იშოვება, ასე რომ „ჩინოვნიკებში“ ახლა აღარც სიმინდის ქჭადს დაერიდებიან, მაგრამ ისიც ძვირი გახდა: ფუთი ექვსი აბაზი. თოვლის აღებას მაისამდე არ ველით. ვისაც შემოდგომაზედ, ადრე დათოვის გამო, პური დაუთესავი დარჩა, გაზაფხულის იმედი ჰქონდა, „ახალ თესლს“ (საგაზაფხულო პური) დავთესავთო, ახლა, რადგანაც ეს იმედი გაგვიცრუვდა, მომავალი ძალიან აფიქრებს.

სხვა უბედურებაც აწუხებს კაცს. ახლანდელ დროში სვინდისისა და სიმართლის მქონე კაცს უჭირს სოფელში ცხოვრება, სხვანიკი კარგად და უდარდელად ატარებენ დროს, იმიტომ რომ მარტო თავის თავზედ ჰფიქრობენ. თუ შემოელიათ, მაშინ ძალით ან მალვით სხვის ლუკმითაც გამოიჩენიან. პატიოსანი კაცი სოფელში ხშირად დასცქერის უწესო და საზარალო საქმეს, ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრას და მხოლოდ გულით ისჯება და იტანჯება: მის სიტყვას გავლენა არა აქვს.

დიაღამც სანატრელია, სოფელში თითოოროლა სიტყვა-გავლენიანი კაცი იყოს, მაგრამ სად არის?! განათლებული კაცები, თვით ჩვენივე შვილები, სოფელს დაშორებულნი არიან, რადგან ისეთი დაწესებულება, რომელიც მათს შესაფერს შრომას მოითხოვს, სოფელში არ იპოვება. მღვდლების „მოღვაწეობა“ როგორიცაა,—ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს.

22 თებერვალს სოფ. სომიწოში გარდაიცვალა პატიოსანი კაცი, ნესტორ იაშვილი. აქაც ვნახე სამწუხარო ამბავი. გზა არ იყო ხეირიანი, თოვლის მიზეზით, და არავინ თქვა, რომ გზა გავაკეთოთ, ექიმი მოვიყვანოთ და ცოცხალ კაცს ვუშველოთო, ხოლო როცა კაცი მოკვდა, მაშინ შეიქნა ლაპარაკი, რამდენი პური და ღვინო იკმარებსო. ჩვენს სოფელს გარდა, ოცამდე მოსაწვევი ბარათები გაგზავნეს სხვა სოფლებში. რასაკვირველია, ზარალის მეტი არა მოჰყვებოდა რა ასეთს ზეიმს.

ერთმა მოხუცმა მოძღვარმა, რომელსაც წინად უყვარდა სოფლისთვის კეთილი საქმის გაკეთება, ახლაც ბრძანა—თითო მანეთის შეკრება ქირისუფლებისათვის შესაწევად (თუმცა ჩვენს სოფელში „შესაწევარი“ მოსპობილია). ამ მოძღვარს ცხადია, არ ესმის შესაწევრის ნამდვილი მნიშვნელობა. ერთი, რომ ეს შესაწევარი ვალად ედება ობლებს, რომლებმაც ასეთი შესაწევარი უნდა იხადონ ყოველთვის, როცა ვინმე მოკვდება სოფელში ან ნათესაობაში. მეორე, რაც უმთავრესია, შესაწევრის მოსპობა ძირს უთხრის და სპობს მკვდრის დიდის ზეიმით და ხარჯით დამარხვას.

ამ ჩვეულიბის შესახებ ეპისკოპოზის განკარგულებაზედ აკაკი წერეთელი შენიშნავს, რომ ამ ჩვეულების მოსპობას დრო მოიტანსო, დრო თავის-თავად არაფერს მოიტანს, თუ ხალხმა არ შეიგნო ზოგიერთ ჩვეულების უვარგისობა. ამ საქმეში-კი სიტყვა-გავლენიანი პირები დიდს სარგებლობას მოიტანენ, ჩემისთანა კაცის სიტყვას-კი, როგორც უსწავლელის, ცოტა ფასი აქვს.

„ცნობის ფურც“. აღნიშნული იყო დაბა ონში ორკლასიან სასწავლებლის ოთხკლასიანად გადაკეთება, სადაც მოხსენებულია ამ საქმის მოთავეებიც. მათ შორის, სამწუხაროდ, არ იყო მოხსენებული ე. ვაშაკიძე, მაზრის ექიმი, რომელსაც ამ საქმეში არა თუ ნაკლები, სხვაზედ მეტი ღვაწლიც მიუძღვის. ეს კაცი, თავის თანამდებობის გარდა, სხვაფრივაც იჩენს ხალხისადმი გულ-შემატკივრობას.

პორფირე იაშვილი.

## რუსეთი

სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრების შეთანხმებით გადაწყვეტილია, ქ. პიატიგორსკში ჰიდროლოგების (წყლების მკვლევარნი) კლიმატოლოგებას (ჰავის-მკვლევარნი) და ბალნეოლოგების (მადნის წყლის მკვლევარნი) კრება მოხდეს.

— შავი-ზღვის პირად ადგილების გამწეს-რიგებელმა კომისიამ ნება მისცა ერთ მოსკოველ ვაჭარს, გამართოს ქ. სოჭში ავადმყოფთათვის საბანებელი. ამავე კომისიამ საჭიროდ სცნო, გაიგზავნოს იმ ადგილებში განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ხელმეორედ უნდა შეათვისოს შავიზღვის პირად გასაყვანი რკინის გზისათვის საჭირო მიწები. რკინის გზა კავკავის რკინის გზამ უნდა გაიყვანოს სახელმწიფო ხარჯით. გზის გაყვანა უნდა დაჯდეს 58 მილიონი მან. ცხადია, რომ ამ გზის გაყვანა დიდად არაფრად ხელ-საყრელია კავკავის რკინის გზისათვის, რადგან, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც გზის მართვლობა ეჩივლება უღონობის და არ უნდა შეუდგეს მუშაობას. კავკავის გზამ წარუდგინა შავი ზღვის პირად ადგილების გამწეს-რიგებელ კომისიას ხარჯთ-აღრიცხვა გზისათვის საჭირო ადგილების შესაძენად. ადგილების შეძენა 30 მილიონი უნდა დაჯდეს. ასე რომ გზის გასაყვანად 28 მილიონი დარჩება. ხარჯთ-აღრიცხვა დაწვრილებით გაარჩიეს და ერთობ გადაჭარბებულად იცნეს; მაგალითად სახელმწიფო საბჭოს წევრი ნ. პ. პეტროვი უსასყიდლოდ აძლევს გზისთვის საჭირო ადგილებს თავის მამულში, ეს ადგილები-კი ხარჯთ-აღრიცხვაში არიან შეტანილი და დესიატინა 2000 მან. დაფასებულია.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ამ დღეებში ვულიჩში მომხდარ საპარლამენტო არჩევნებზე საუცხოოდ გაიმარჯვა მუშათა კანდიდატმა კრუკსმა; მიიღო —8,687 კენჭი (მის მოპირდაპირეს კონსერვატორ დრეჯს-კი მხოლოდ 5,458 კ. ამოუვიდა).

კრუკსი—მუშაა, პატარაობითვე ღარიბთა თავშესაფარში აღზრდილი. მთავრობის დამარცხება მეტად აღონებს სამინისტროს და ახარებს ოპოზიციას. 1895 წლიდგან, როცა მთავრობის მომხრეთ 2,805 ხმა ჰქონდათ, თანდათან იწყო გაძლიერება ოპოზიციამ და დღეს 3,229 კენჭით გადააჭარბა კიდეც. 1900—02 წ.წ. ლიბერალები კონსერვატორების შეჯიბრებასაც-კი ვერა ჰბედავდნენ, რომ ერთი მეტი თავისუფალი ადგილი ჩაეგდოთ ხელში. წელს-კი ასე მოულოდნელად გაიმარჯვეს. ოფიციალურ გაზეთი „Times“-ს ეს გამარჯვება მუშათა დასის გავლენის გაძლიერებად მიაჩნია. ლიბერალთა გაზეთობა იმ აზრისა არის, რომ მთავრობის აღსასრული მოახლოვდაო. დანარჩენი გაზეთობა ამბობს,—ინგლისის ხალხს მოჰბეზრდა ეხლანდელ მთავრობის უნიჭობაო.

**ავსტრია-უნგრეთი.** ვენის რეიხსრატმა დაამთავრა პირველი კითხვა ბიუჯეტისა და გადასცა იგი კომისიას.

ამ კრებაზედ ახალგაზდა ჩეხ კრამარჟის მიერ წარმოთქმულ სიტყვიდგან გაზეთებს მოჰყავს კიდევ შემდეგი: „ახალგაზრდა ჩეხთა კლუბმა—სთქვა კრამარჟმა—სრულიად უარჰყო ობსტრუქცია, რათა სამინისტროს არ მისცეს საღსარი, ავსტრია-უნგრეთის შეთანხმება მოახდინოს გარეშე პარლამენტისა,—კონსტიტუციის მე-14 § ძალით. მაგრამ ეს იმას-კი არ მოასწავებს, ვითომ ახალგაზრდა ჩეხნი ეხლა სხვა თვალით უყურებდნენ მთავრობას. კერბერის კაბინეტი მოხელეთა სამინისტროს წარმოადგენს და ეს გარემოება-კი —უარ-ყოფაა საპარლამენტო პრინციპისა. ახალგზრდა ჩეხნი მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელიან, რომ ეს სამინისტრო უეჭველად დასცენო“.

— ვენიდგან ატყობინებენ ერთ ფრანგულ გაზეთს,—ცნობილმა პროფესორმა ბერინგმა, რომელმაც აღმოაჩინა ხუნაგის საწინააღმდეგო შრატი თითქმის იმავე დროს, როცა ცნობილმა პარიჟელმა მეცნიერმა რუმ გამოაქვეყნა ეს საშუალება,—ამ დღეებში ადგილობრივ საავადმყოფოს ექიმთ წარუდგინა მოხსენება ჰლექის (ტუბერკულოზის) საწინააღმდეგო შრატის შესახებ. ბერინგმა განაცხადა,—თუ ხბოს ავუცრით ამ შრატით, იმას მომავალში ჰლექი (ბუგორჩატკა) აღარ შეეყრება. მომხსენებლის აზრით, ამ შრატით რომ ბავშვებს აუცრან, უეჭველად სასურველი შედეგი უნდა მოჰყვესო. თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა, ჰლექის წამლობა სრულიად ახალ გზას დაადგება და შეიძლება იმ ბედნიერ დღეს მოვესწროთ, რომ კაცობრიობა განთავისუფლებულიყოს ამ უსაშინელესის სენისაგან.

**ოსმალეთი.** სოლუნის ვილაიეტში მდ. ვარდარის ნაპირად სოფ. ჰერენდშეში შეტაკება მოხდა ოსმალთა რაზმისა და ბულგარელ ჯუფთთა (ჩეტა), აპოსტოლის წინამძღოლობით. ოსმალთ ალყა შემოარტყეს სოფელს; ომმა სამს დღეს გასტანა. ჯუფთმა გაარღვია ოსმალთა რაზმი და თავს უშველა, თუმცა ოთხი კაცი დაჰკარგა. ოსმალთ რამდენიმე სახლი დასწვეს.

## ბოსტანი და ბოსტნეულობა.

### კვალები და მათზედ მუშაობა.

როდესაც ბოსტანი ოთხ ნაჭრად არის დაყოფილი, დაბარვამდე უნდა მოინკლდოს (გაპატივდეს), პირველი, მეორე და მეოთხე (ფოთლებიანების, ძირი ნაყოფიანების და მრავალ-წლოვან მცენარეთა ნაჭრები). პატივი თანასწორად უნდა გაანაწილოთ ნაჭრებზედ.

შემდეგ ყველა ნაჭრები უნდა გადაბარონ. სიღრმე დაბარულ მიწისა დამოკიდებულია ძირების სიგრძეზედ: საზოგადოდ ძირთ-ნაყოფთ და მრავალ-წლოვან მცენარეთათვის მიწა უფრო ღრმად უნდა გადაბარონ. დაბარვის დროს (გაზაფხულზედ) ბელტებს ძალიან დამტვრევა უნდა, წვრილ მარცვლებად გადაქცევა და არა მტვრად ქცევა.

თუ ბელტები მტვრად აქციეთ, წვიმა მტვერს ტალახად გახდის, რომელიც სითბოს ან ქარის გავლენით ქერქად იქცევა და ჰაერსა და სითბოს მიწაში არ ჩაუშვებს, რაიც დიდად მავნებელია თესლის და მცენარეებისთვის.

გადაბარულ მიწას ფოცხით ასწორებენ და შემდეგ თითოეულ ნაჭერს კვალებად ჰყოფენ. კვალები უნდა მიდიოდეს ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ (თუ ვაკე, სწორი ადგილია) და აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ, თუ რომ ფერდობი ადგილია.

ჭირველ შემთხვევაში სიგრძე კვალისა ჯეროვანი იქმნება და მეორე შემთხვევაში სასურველია თხუთმეტ საჟენზედ მეტი არ იყოს. განი კვალის—არშინ-ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს. კვალ-და-კვალ შუა სასვლელი გზა უნდა იყოს, სიგანით არა მეტი ნახევარ არშინისა.

რიგიანად მოწყობილს ბოსტანში სამგვარი კვალებია: დროებით სათესი, დროებით გადასარგავი და სამუდამო. დროებით სათეს კვალზედ ითესება თესლები ჩვეულებრივ, გაფანტვით. როდესაც აქ მცენარეები ამოვა და იმხელა გაიზრდება, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი გადარგვა, აქედგან ეს მცენარეები გადააქვთ და რგამენ დროებით გადასარგავ კვალზედ.

როდესაც გადასარგავ კვალებზედ მცენარეები გაიზრდება კარგად, ორ-სამ ვერშოკამდე, აქედგან გადააქვთ სამუდამო კვალზედ, რომელზედაც რგამენ წესებად.

ასეთი დროებითი დათესვა და გადარგვა ორჯერ საოცრად უმრავლებს მცენარეს წვრილ, ძაფის მსგავსს ფესვებს და ამის მიზეზით მცენარე მალე იზრდება და ნაყოფსაც მალე იძლევა. ეს უხდება, მაგალითად, ბადრიჯანს, პამიდორს, კომბოსტოს, სალათს, მჟაუნას, წიწაკას და სხვა ფოთლებიანს; ძირთ-ნაყოფიანები, გარდა ხახვისა, პრასისა და რამოდენიმე სხვა მცენარისა, ვერ იტანენ დროებით თესვას და გადარგვას; პარკებიანებისათვის-კი სულ არ ვარგა.

### საზოგადო დარიგება.

გაზაფხული ნებას არ მაძლევს, გავაგრძელო ბაასი ჩემს ბოსტანზედ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში თავისს დროზედ ვერ მივაწვდენ მსურველთ საჭირო დარიგებას და ამიტომ ჩამოვთვლი იმ წესს, რომლის აღსრულება საჭირო არის მეურნეთათვის:

1. **მუშაობა დროებით სათესს კვალზედ, დათესიდგან მცენარის ამოსვლამდე.**

ა) ფოცხით კარგად გაასწორეთ კვალის ზედა პირი.

ბ) გაფანტვით დათესეთ თესლები და ფოცხით დაათვარეთ მიწა.

თუ რამდენი მიწა უნდა დაეყაროს თესლებს, თესლების სიდიდეს (სიმსხოს) და მიწის თვისებაზედ ჰკიდია. მსხვილ მარცვლებს უფრო სქლად უნდა დაეყაროს მიწა და წვრილს—ნაკლებად.

თუ მიწა მაგარია, თესლები კვალის ზედა პირთან ახლო უნდა იყოს, თუ მიწა ფხვიერია, სიღმისია—დაშორებით.

ერთის სიტყვით, იმდენი მიწა უნდა დაეყაროს მარცვალს, რომ მასთან ჰაერი ადვილად უნდა ჩადიოდეს.

ჰაერი მიუცილებელი საჭიროა თესლების ამოსვლისათვის, რადგანაც თესლში ჩასახული მცენა-

---

მიანი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ხმა, ჩამეხედნა ზისს ზღვასავით ღრმა, და გიშერივით შავ-დამწველ თვალებში... არც იმასა ვფიქრობდი იმ წამს, თუ რა მეთქვა, რა სახით შევყროდი, რომ ვინიცობაა მომეხერხებინა მისი ნახვა... რაღაც უხილავმა ძალამ სასტუმროს კარებ წინ ერთბამად გამაჩერა.

— ხომ არ ჩამომხტარა აქ ერთი ქალი, ასე ოცდა რვა წლისა იქნება?—ვკითხე მეკარეს გულის ფანცქალით და გაუბედავის ხმით. მან თავი მაღლა აიღო და განცვიფრებით შემომხედა.

— აბა რა გითხრათ: აქ ძალიან ბევრი ქალი და კაცი კაცი ჩამოხტებიან ხოლმე. აიქ დაფაზედ იქნება დაწერილი, თუ აქა სდგას.

— მე იმის ქმრის გვარი არ ვიცი,—მივუგე მე და, რომ როგორმე გამეგებინებინა ვინაობა, ავუწერე გარეგანი შეხედულება და სახელიც ვუთხარი. მეკარე ცოტა ხნით დაფიქრდა.

— ჰო, იყო აქ ასეთი,—მითხრა მან ბოლოს. ვიღაც ოფიცერიც დაიარებოდა მასთან; გუშინწინ გადავიდა ბერლინის ნომრებში.

— ნამდვილად იცი?

— ისე ნამდვილად, როგორც ისა, რომ იმ ქალს დაეძებთ.

საათს დავხედე; ათის ოცი წამი გასულიყო, სამსახურში მისვლის დროს საათ-ნახევარი გადასცილებოდა.—აღარ ღირს წასვლა —ვიფიქრე მე,—ერთობ დავიგვიანე, ამას გარდა, განა შემიძლია ამ მდგომარეობაში მყოფს ბავშვების სწავლება? მაგისთვის არც თავი მივარგა ახლა და არც გული... მთვრალივით რაღაც საამო ბურუსში მყოფი გარედ გამოვედი და ბერლინის ნომრებისკენ გავეშურე. იქ ბევრი გამოკითხვა არ დამჭირებია იმის გასაგებად, რომ ის, ვისაც ვეძებდი, მერვე ნომერში იდგა. მარტო ერთი წარმოდგენა იმისი, რომ თამრო აქ, ჩემს ახლოს იყო, რომ მე შემეძლო მისი ნახვა, მისის ხმის გაგონება, მისის ხელების შეხება, მთელს სხეულში საამო ჟრუოლასა მგვრიდა, გული ისე მიცემდა, რომ მეშინოდა მისი ბაგა-ბუგი არ გაეგონა მეკარეს, რომელსაც სადარბაზო ბარათი მივეცი და ვუთხარი:

გარდაეცით მერვე ნომრის მდგმურს და მოახსენეთ, რომ მისი ნახვა მსურს.

— ჯერ არ ამდგარა, ბატონო, წუხელ გვიან მობრძანდა.

— ახლდა ვინმე?

— დიაღ, ვიღაც ოფიცერი!

— არ იცი, ვინ იყო?

— რა მოგახსენოთ.

— ის ოფიცერი, უთოდ, რომელიც ლოჟაში იჯდა მასთან. აკი სასტუმროს მეკარემაც მითხრა, ოფიცერი ახლავს თანაო.—ვიფიქრე და შევამჩნიე, რომ გულის სიღრმეში მწვავე ტკივილის მსგავსი რაღაც ვიგრძენ და, როცა კარგად დავეკითხე ჩემს გრძნობას, დავინახე, რომ შურსა და იჭვს შევეპყარ, რაც იმავე წამს სისულელედ ჩავთვალე, ვინაიდგან კარგად მესმოდა, რომ ამ გრძნობას არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა: იჭვი იქ იბადება, სადაც ორ არსებას შორის ნამდვილი დამოკიდებულება, კავშირი სუფევს და ერთ-ერთს ეშინიან, რომ ეს კავშირი არ დაირღვეს; ამისთანა კავშირი-კი ჩვენ შორის არ იყო. ასე თუ ისე, იმ წამს ჩემს არსებაში გამეფებული იყო უძლეველი სურვილი მისის ხილვისა და აღტყინებული წარმოდგენა ერთი მეორეზედ უმშვენიერესს სურათს მიხატავდა თვალ-წინ: აი, წევს ის გულ-აღმა, მარმარილოსებრ თეთრი სწორი გულ-მკერდი ნელა აუდ-ჩამოუდის ყოველ სულის მოთქმაზე, ორივე მრგვალი, თითქო საგანგებოდ გამოქანდაკებული ფუნთუშა მკლავი თავქვეშ ამოუდვია და ტკბილად სძინავს; დრო გამოშვებით ტურფა სახეზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი გადაურბენს, და მაშინ პატარა ხალი მარცხენა ლოყაზედ და კოკობი, ვარდის ფერი ტუჩები ლამაზათ შეუთამაშებდა... ხან წარმომიდგება, რომ თვალებს ახელს, იზმორება, და მის შავს, მიბნედილ თვალებსა და მთელს ტურფა სხეულის მოხაზულებაში ნათლად გამოსჭვირს დაუცხრომელი წყურვილი ფუფუნებისა, წყურვილი ჯერეთ გამოუცდელ განცხრომა-სიამოვნებისა... შემდეგ იღებს სადამურ მაგიდიდან პატარა სარკეს, იცქირება შიგ კმაყოფილების ღიმილით და სიამაყით ამბობს თავის გულში, რომ მისთა თვალთა ელვარება არ ჩამოურჩება იმ მზის სხივის ბრწყინვალებას, რომელიც სარკეში ჰთრთის.

— მაშ, როგორც-კი ადგეს, გარდაეცი,— ვუთხარი მეკარეს და, გავედი რა ქუჩაში, ცოტა ხნით მისავალ კარებ წინ გავჩერდი, რადგანაც არ ვიცოდი, საითკენ წავსულიყავ; გული მიწევდა აქ, გარედ დარჩენას და დაუსრულებლად ლოდინს მანამდის, სანამ ის არ გაიღვიძებდა; მაგრამ თავმოყვარეობის გრძნობა მეუბნებოდა, რომ ამგვარი საქციელი მოწაფეს უფრო შეჰფერის, ვიდრე დარბაისელ მასწავლებელსაო, და მეც ავედევნე უკან მიმავალ ხალხს.

უეცრად ნაცნობი ზარის წკრიალის ხმა შემომესმა. მე შევკრთი და წამსვე მომაგონდა, რომ სწორედ ამ დროს გაკვეთილი უნდა დამეწყო გიმნაზიაში.—ჩემი შეგირდები უთუოდ გულნატკენები არიან, რომ ვერ მხედავენ დღეს. ვიცი ვუყვარვარ.—ვიფიქრე სიამოვნებით და ჩემს თავს გიჟი დაუძახე; სად გაჰქრა მაღალი ფრაზები წმინდა მოვალეობისა და თავ-დადებულ საზოგადო სამსახურის შესახებ? ერთ წამს მზად ვიყავ დამეთრგუნა, ჩამეკლა გულში ეს გიჟური ვნება და წავსულიყავ ჩემის მოვალეობის აასრულებლად, მაგრამ იმ წამსვე, რა წამსაც ეს გარდავსწყვიტე, თვალწინ დამიდგა თამროს სახე, ეშმაკურად მოღიმარის მწვავის თვალებით, რომელთა გამომეტყველება საცთუნებლად მეუბნებოდა: „აქეთ, ჩემკენ, თუ გინდა გამოსცადო ნეტარება!“-ო—ამ გრძნობა-გონების ბრძოლითა და დუღილით შეპყრობილი თავ-ჩაქინდრული გაუბედავის ნაბიჯით მოვდიოდი ქუჩაში ისე, თითქოს გარს უკუნეთი ღამისა მხვეოდეს. რეტ-დასხმულივით ვიყავ და ქუჩის სიცოცხლის ხმაურობა ძლივს აღწევდა ჩემს გონებამდის.

— მამა, მამა!—მომესმა უეცრად მხიარული და ნაცნობი ხმა. მე გამოვფხიზლდი და თავი მაღლა ავიღე. მაღაზიის კარებიდან, რომლის წინ იმ დროს მივდიოდი, ჩემი ქალ-ვაჟი გამოვარდნენ და სიხარულისაგან აღაჟღაჟებულის ლოყებით და ფართოდ გაშლილის ხელებით პირდაპირ ხელებში მეცნენ.

— თქვენ რას აკეთებთ აქ?—შევძახე იმათ სანახევროდ გაჯავრებულის, სანახევროდ გაკვირვებულის ხმით; თავში ეჭვმა გამირბინა, რომ ისინი, დედის ბრძანებით, დიდი ხანია აქ მიცდიდნენ და მზვერავდნენ. ბავშვებს უცბად გაუქრა სახეზედ სიხარულის მეტყველება და იმათს განცვიფრებით გამომზირალს თვალებში ნათლად წავიკითხე: „რა ახირებულია დღეს მამა! რა მოუვიდა ნეტა?“

— დედა აქ არის, მაღაზიაში,—ქუდი უნდა მიყიდოს,—მომიგო გაუბედავად უფროსმა ხუთის წლის ვაჟმა და ბღვერით ცქერა დამიწყო.

— მეც უნდა მიყიდოს კაბა,—დაურთო უმცროსმა ქალმა ძმაზედ უფრო თამამად.

მართლაცა და ერთს წამს უკან მაღაზიის კარებში გამოჩნდა მარო, რომელსაც უკან მოსდევდა პატარა ბიჭი საყიდლებით ხელში.

— ალექსი!—უზომო განცვიფრებით შეჰიძახა მან დანახვისათანავე და მოიჭრა ჩემთან; თვალებში შიში გამოხატოდა.

— გიმნაზიიდან მოდიხარ? ცუდად ხომ არა ჰგრძნობ თავს?—

— ვერ წარმოიდგენ, ქალო, რა რიგად მტკივა თავი, ლამის გამისკდეს... ვიცრუე მე და ვიგრძენ, რომ სისხლი თავში ამივარდა და სახე ცეცხლივით გამიხდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! მაშ, დღეს გაკვეთილები არ მიგიცია?

— არა, ვეღარ შევსძელ,—მივუგე მე და თანაც შევამჩნიე, თუ როგორ ვიძირებოდი თან-და-თან სიყალბისა და სიცრუის მორევში.

— მაშ, ახლა შინ წავიდეთ!—სთქვა მარომ გარდაწყვეტილის კილოთი და ბავშვებს ხელიხელში ჩაჰკიდა.

ის მალე ადგება... სჯობია მანამდის ბაღში ვავისეირნო—გამირბინა თავში აზრმა.

— იცი, მარო, მინდა ცოტა ხანს ბაღში გავიარ-გამოვიარო; იქნება სუფთა ჰაერმა მარგოს.

— შენი ნებაა,—მითხრა მარომ და, შემომხედა რა კიდევ ერთხელ თავისის მართალის, წყნარის სევდით მოცულის თვალებით, მოჰკიდა ხელი ბავშვებს და გასწია სახლისკენ.

დიმ. ერისთავი.

(შემდეგი იქნება)

რე სუნთქავს. თუ ჰაერი თავისუფლად არ ჩავიდა მიწაში, პაწაწინა მცენარეები ვერ ისუნთქავს და ვერც ამოვა, ჩაკვდება.

გ) მცენარის ამოსვლისათვის უპირველესად უთვლისა საჭიროა: ჰაერი, სითბო და ნოტიო, წყალი. სინათლე სრულებით საჭირო არ არის. არ არის საჭირო აგრეთვე მიწის სიმსუქნე. საქმე ის არის, რომ სანამ მცენარეს ძირები არ გაუკეთდება და მიწაზედ ღერო და ფოთლები არ გაუჩნდება. ის იკვებება მხოლოდ იმ საკვებ საზრდოთი, რომელიც თვით თესლში იმყოფება. ეს საკვები ნივთიერება რომ ნორჩ, ჩასახულ თესლში მცენარეს გამოადგეს საზრდოდ, საჭიროა დარბილდეს თესლი, წყალში იქმნას გაშლილი. რადგანაც თესლში საკმარისი წყალი არ არის, ამიტომ თესლი მიწიდგან სწოვს საჭირო წყალს, საკვები ნივთიერება წყალში იშლება და ამით ნორჩი მცენარე იკვებება. ამიტომ, თუ დროებით სათესს კვალში საკმარისი წყალი, ნოტიო არ არის, უსათუოდ დათესვის შემდეგ კვალი უნდა მორწყოთ. ამისთვის სარწყავით (ვედრო), რომელსაც აქვს საწურავი, უნდა მორწყოთ კვალი თანასწორად.

მორწყვა უნდა დილით ადრე, ან საღამოს გვიან და არა შუა-დღისას. თუ წვიმა მოვიდა, მორწყვა, რასაკვირველია, არ უნდა.

თუ კვალზედ ქერქი გაჩნდა, ფოცხით დამტვრევა უნდა.

შეიძლება კვალი ყოველ დღე არ მოირწყას, თუ მიწა ნოტიო არის. თუ ვინიცობაა კულტურულ ბოსტნის მცენარის ამოსვლამდე ველური ბალახები გამოჩნდა, იმას გამარგვლა უნდა.

(შემდეგი იქნება)

ნ. მკურნალი.

# თეატრი და ხელოვნება

## ქართული თეატრი

### ავლაბრის სახალხო თეატრი.

პარასკევს, 7 მარტს, ავლაბრის თეატრში, სცენის მოყვარულთა ახალმა, ანუ მეორე დასმა, ქართულ თეატრის არტისტების, როგორც თითონ უწოდებენ თავისს თავს (იხ. აფიშა), ალ. იმედაშვილის, ი. ივანიძის და ჭელიძის დახმარებით გაჰმართა წარმოდგენა. ითამაშეს ისტორიული დრამა 5 მოქ. „პატარა კახი“, აკაკისა.

გელას როლს ასრულებდა ბ-ნი ივანიძე, რომელმაც ნათლად ვერ დაგვანახვა ბრმა გმირის სულიერი მდგომარეობა. არც ხმა უწყობდა ხელს ამ მსახიობს.

კახს თამაშობდა ალ. იმედაშვილი და გვარიანად დაგვისურათა გმირი კახის როლი. მხოლოდ როლი არ იცოდა და სიტყვებს ამახინჯებდა, რაც არ უნდა მიეტევოს მსახიობს...

გივის მოთამაშე ბ-ნი ჭელიძე კარგი იყო, რომ თავის ულაზათო მიხვრა-მოხვრით არ გაეფუჭებინა როლი. იგი უფრო უარაჩოდულ ძმაბიჭს მოგვაგონებდათ, ვიდრე დარბაისელ აღმზრდელს დიდებულ მეფის ირაკლისას.

ტურფა (ქ-ნი საყვარელიძე) ტურფას-კი არა, უფრო არისტოკრატკას წარმოადგენდა თავის მორუსულო კილოთი და არშია მოვლებულ კაბით, ვიდრე სოფლის გოგონას.

დანარჩენები, მეფე (ღოღაძე), დევან (მატარაძე), ბაადურ (მჭედლიშვილი), რევაზ (ბაკურაძე) და სხ. მწვადსაც სწვავდნენ და შამფურსაც.

საზოგადოდ პიესამ სუსტად ჩაიარა...

ორიოდე სიტყვა ავლაბრის სცენაზედ მოთამაშეთა შესახებ.

ეს ოთხი თვეა, რაც ბ ნ ნ. მურაშკოს თეატრში ყოველ კვირა წარმოდგენები იმართება: ქართულად, სომხურად და რუსულად. ეს, ვგონებ, საკმარისი უნდა იყოს ავლაბრელებისათვის, სადაც მომეტებული ნაწილი მშრომელი, მუშა ხალხი სცხოვრობს და ჯერ-ჯერობით ახალად იკიდებს ფეხს სახალხო წარმოდგენების მართვა. ამიტომაც მძიმე ტვირთად დააწვება თავზედ ამ ხალხს, რომ კვირაში ორჯერ იმართებოდეს ქართული წარმოდგენები და შესაძლებელიც არის, რომ მალე მობეზრდეს კიდეც.

აი, ამ ხნის განმავლობაში ქართულ წარმოდგენებს ჰმართავს ახალგაზრდათა პატარა წრე, რომლის აზრიც ის არის, რომ ყოველ კვირა ჰმართოს წარმოდგენები, რათა მშრომელი მუშა ხალხი აცდინოს სამიკიტნოებს, სადაც მთელის კვირის ნაშრომს ერთ ღამეს ჰფლანგავს.

აგრეთვე, როგორც შევიტყეთ, ამ ახლო მომავალში გახსნიან სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ამ სცენის-მოყვარულთა თაოსნობით.

კ. ი—ე.

# ნარკვევი

ჟურნ. „Вѣст. Европ.“-ს მარტის №-ს შინაურ მიმოხილვის ავტორი მსჯელობს საგუბერნიო და სამაზრო სამეურნეო კომიტეტების მოქმედებაზე და იმის შესახებ,—თუ უმთავრესად რა შედეგი მოჰყვა მას. ჟურნალის აზრით, ყველაზე უფრო საგულისხმიერო კომიტეტთა ის გარდაწყვეტილებაა, რომელიც შეეხება გლეხების უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას, სხვა წოდებებთან მათი გასწორებას.

გლეხნი და სხვა სოფლის მცხოვრებნი, რომლებიც მოწინავე წოდებას არ ეკუთვნიან, ერთობათა უფროსების თვით ნება უფლებას ემორჩილებიან, გლეხთა თვით-მმართველობა ფაქტიურად გაუქმებულია, გლეხთაგან ამორჩეულნი სოფლის მოხელენი ადმინისტრაციის უმცროს მოხელეებად გადაიქცევიან ხოლმე; სოფლის სამსჯავროს უფლება, თუმც გაფართოვებულია, ამავე დროს მისი თვით მოქმედება შემცირებულია: სასოფლო გარდასახადი უზომოდ მატულობს უმთავრესად იმ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც სოფელს არ შეეხებიან; საერობო კრებაზედ გლეხთა ხმოსნები ისეთის წესით იგზავნებიან, თითქო არჩეულნი-კი არა, დანიშნულნი იყვნენ; წკეპლების დაკვრით დასჯა გლეხებისა;—აი ყველა ის გარემოებანი, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კომიტეტებმა და იცნეს უმთავრეს სენად, რომლის განსაკურნავად მოწოდებულია განსაკუთრებული საბჭო,—ამბობს Вѣст. Евр.

# სასამართლო

8 ამ თვეს ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია ალექსანდრე მატოსოვის და ნესტორ ივანოვის საქმე; ორივენი დროებით მეტეხის ციხეში იყვნენ დამწყვდეულები. ამათ ის ბრალი ედებოდათ, რომ ქ ტფილისში საფრანგეთის ქვეშევრდომი ქალი მარგარიტა ლოშარი გაქურდეს. ერთი ამათთაგანი, ივანოვი, როგორც საქმეშია მოხსენებული, მარგარიტას საყვარელი ყოფილა, ამას მატოსოვი მიუამხანაგებია, რომელსაც სწავლა გიმნაზიაში აქვს მიღებული და, როდესაც ლოშარი სახლში არა ყოფილა, კარები გაუღიათ და ნივთეულობა წაუღიათ. პალატაში ივანოვმა განაცხადა, კმაყოფილი ვარ ოლქის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილის სასჯელისა და გთხოვთ განაჩენი სისრულეში მოიყვანოთო. მატოსოვმა-კი თავის თავი დამნაშავედ არ აღიარა და გამართლება სთხოვა პალატას. პალატამ ტფილისის ოლქის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი, რომლითაც დამნაშავეთ ყოველივე განკერძოებითი უფლებანი ჰქონდათ ახდილი და ორ წელიწად ნახევარ ვადით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, დაამტკიცა.

—

ამავე დღეს გაირჩია საქმე თ. კოსტანტინე (კოწია) დადიშკელიანისა, რომელსაც ის ბრალდებოდა, რომ 1900 წ. გიორგი ბასხულიას წაეჩხუბა და ფეხში დასჭრა. ეს საქმე პირველად ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა, დადიშკელიანი დამნაშავედ იცნო და ოთხი თვით, ღირსება ჩამოუხდელათ, ციხეში ჩაჯდომა მიუსაჯა. ბასხულიას-კი იმ ორმოც და ათი თუმანზე, რომელსაც ეს დადიშკელიანს უჩიოდა სამკურნალოს და მოცდენის ზარალს ავათმყოფობის გამო, სასამართლომ უარი უთხრა. პალატაში საქმე ბასხულიამ განასაჩივრა. პალატამ დადიშკელიანს ისევე სასჯელი განუსაჯა, რაც მას ოლქის სასამართლოსგან ჰქონდა მისჯილი და ამასთან მიუსაჯა ბასხულიას სასარგებლოთ ოც-და-ხუთი თუმნის გადახდა.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 მარტს.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება ბეირუთიდგან, რომ ბერძნების ბერების საქმე, რომელთაც ქრისტეს საფლავის ეკკლესიასთან კათოლიკეთა ბერებს თავს დაეცნენ და რამდენიმე დასჭრესო, მეორე ინსტანციაში გადასწყდა არა სასარგებლოდ დამნაშავეთა.

**ბერლინი.** დანცინგში აპირებენ ერთ-ერთ ქუჩას ტფილისში გარდაცვალებულის რადდეს სახელი დაარქვან; რადდე დაიბადა დანცინგში.

**პეტერბურგი.** ფოსტის დირექტორი ჩერნიავსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრად.

8 მარტს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ბრძანდებოდა ნიკოლაევის აკადემიაში.

8 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერეს პირველი ხალხთა-შორისი გამოფენა ისტორიულ ამ დროის ტანთ-საცმელებისა და მისი სამკაულისა.

**ვენა.** იუწყებიან, რომ პოლკოვნიკი საკოვი, სტამბულოვის დროს სამხედრო მინისტრად ყოფილი და ახლა სამხედრო აკადემიის უფროსი, თანახმაა სამხედრო მინისტრის თანამდებობის მიღებისა.

10 მარტი.

**პეტერბურგი.** 9 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდთა მთავართა დაათვალიერეს საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის გამოფენა.—9 მარტს ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი უავგუსტოესის შვილებით წაბრძანდნენ ცარსკოე სელოს საცხოვრებლად —9 მარტს მის უდიდებულესობას წარუდგა გერმანიის ფლოტის ვიცე-ადმირალი ტერპიცი.—გაზეთები იუწყებიან, რომ ოლქის სასამართლომ მიუსაჯა კონსტანსკისა რომელმაც მოიპარა ბრილიანტები წმ. ისააკის ტაძრიდგან, ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაიგზავნოს 6 წლით კატორღაში.

**ოდესსა** დღეს ჩაყარეს საძირკველი მეორე კათოლიკეთა ეკლესიისა

**ბიარიცი** დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და პრინცი ოლდენბურგისა პეტრე ალექსანდრეს ძე წავიდნენ ბერლინს.

**ვენა** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე მეუღლითურთ მოვიდნენ პეტერბურგიდან და წავიდნენ ათინას.

**ბერლინი.** როგორც გაზ. „კელნიშე ცეიტუნგს“ მაკედონიიდგან ატყობინებენ, თავგასულობა ბოლგართა ჯგუფებისა, რომელთა რიცხვი, როგორც ოსმალეთის მოხელენი ირწმუნებიან, თანდათან მატულობს ბოლგარიასა და მაკედონიიდგან გადმოხვეწილებით, —ისეთს ეჭვსა ჰბადებს, რომ საჭიროა ოსმალეთს მიეცეს სრული თავისუფლება მოქმედებისა, რათა განუკითხავად მოსპოს ჯგუფების თავ გასულება. ყველა სახელმწიფონი ბ მათ შორის რუსეთიც, ერთის აზრისანი არიან ამ აზრს არ ეთანხმებიან მხოლოდ საფრანგეთის გავლენიანი ჟურნალები, რომელნიც მუდამ ამხედრებულნი არიან ოსმალეთის მიმართ, აღნიშნავენ რუსეთისა და ავსტრიის რეფორმათა პროგრამის ნაკლულევანებას და ურჩევენ საბერძნეთსა, მაკედონიის სლავიანთა ხალხთან შეერთებულის ძალით, მიესივნენ ოსმალეთს. ასეთი რჩევანი ფრანგულის გაზეთებისა, რომელნიც მშვიდობის დაცვის და მაკედონიის დაწყნარების საქმეს როდი ემსახურებიან, — რუსეთის პოლიტიკას არ ეთანხმებიანო; არ ეთანხმებიან აგრეთვე იმ ოფიციალურ მოწონებას რომლითაც დელკასე მიეგება რეფორმათა რუსეთის პროექტს. „ფრრანკფ. ცეიტ.“-ს აუწყებენ სოფიიდგან რომ მინისტრ-პრეზიდენტმა დანევმა გამოუცხადა ამ გაზეთის კორესპონდენტს რომ ბოლგარიის მთავრობა ყოველ ღონის ძიებას იხმარს რათა დაცულ იქმნა საერთო მშვიდობიანობისა. რა ზომამდე სერიოზულად ეკიდება სამინისტრო ამ საგანს ეს მტკიცდება იმით, რომ მთავრობამ გააუქმა მაკედონიის კომიტეტები; ეს განკარგულება სავსებით იქმნა აღსრულებული, რადგანაც იგი არ ასცილდა არც ერთ მცირე სოფელსაც-კი.

**სტამბოლი** ხელმი-ფაშა დეპეშით იუწყება რომ ხუთმა ალბანიის თემმა კოსსოვის ვილაეტისა, რომელიც წინააღმდეგნი იყვნენ რეფორმების შემოღებისა—ფორმალურით თანხმება განაცხადეს დაემორჩილეს ხონთქარის ბრძანებას.

**პორტი კარაკასი.** კასტრომ პრეზიდენტის თანამდებობას თავი დაანება. ეს გარდაწყვეტილება გამოეცხადა კონგრესს მიწერილობით, ვიცე-პრეზიდენტი შეუდგა პრეზიდენტის თანამდებობის აღსრულებას. სრული სიმშვიდეა.

**პეტერბურგის ბირჟა,** 7 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,42½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅛ გაყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 101¼ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95⅛ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 451 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 346¼ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 303¼ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 91 გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 99,50 წვ. გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 495 წვ. გაყ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 41,50 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 404 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 205 გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

## სასამართლოს შესახები ცნობანი.

15 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1) ხაიმაშვილების დავა.
2) დავა ი. ღულაძისა და კ. ეგიაზაროვისა.
3) დავა იაკობ გვაზავასი და ანთიმოზ სალოქვაძისა.
4) დავა მარკოზ მურადოვისა და ნ. კახიძისა.
5) დავა ალექსანდრე არხიპოვისა და ბესარიონ ფხაკაძისა.


# განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,** სავალდებულო დადგენილებათა მე-13 § ის ძალით, მეეტლეობის ხელობის შესახებ ქალაქს ტფილისში, ამით აუწყებს უცხო-გვარ ეტლების პატრონთ, რომ 14 მარტს, პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სუბუქ მეეტლეთათვის უსტაბაშებისა და მათ კანდიდატების არჩევნები, ხოლო მძიმე მეეტლეთათვის (პოვოსკებ-დროგების პატრონთათვის) 16 მარტს, კვირას, დილის 10 საათზედ.

ისყიდება ორი სასტუმროს მორთულობა (მებელი): ერთი 150 მ. და მეორე 75 მანათად. უკანასკნელს მებელის შესახამებელი მძიმე ფარდებიცა აქვს. მსურველთ შეუძლიანთ გაშინჯონ ყოველ დღე დილის 11—საღამოს 5 საათამდე. ნიკოლოოზის ქუჩა № 16, ბინადრობა ბაბინისა. (4—7—3)

ქუთაისში

**ს. მ. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.



# გაფრთხილება!

## კომპანია გრამოფონი

**ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აბიანცისა, № 7.**

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვანსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ.

(7—6)